



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

GEORGIA

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება:ბ135. 135242141

თარიღი:01/08/2024

**მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ
ვაკანტურ პოზიციებზე სტაჟიორთა მიღების მიზნით
კონკურსის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N245 დადგენილების და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 84¹-ე და 84²-ე მუხლების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

- ვაკანტურად იქნას გამოცხადებული მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებული პოზიციები:
 - მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საოქმო განყოფილების III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.
- გამოცხადდეს კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ გვერდის (hr.gov.ge) მეშვეობით.
- მოცემულ პოზიციაზე სტაჟირების ვადად განისაზღვროს 4 თვე.
- სტაჟირების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 399 ლარით.
- ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს შოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონული სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რევაზ ლალიძის

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

